ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01240362785**
თარიღი: **05/02/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ბატონო თეიმურაზ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2023 წლის 11 ნოემბერს N60-01233072115 (N12-01233072392-61) წერილით გადმოიგზავნილ მოქ. შ. მიქელაძის (AR1993625) განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიცთაც მოთხოვნილია ქ. თბილისი, ლ. ასათიანის ქუჩა N17 - ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.15.05.076.007) მრავალფუნქციური შენობის ესკიზის შეთანხმება და სადაც საპროექტო მიწის ნაკვეთს ემიჯნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.15.05.076.012), რომლის მხარესაც საპროექტო გადაწყვეტით გათვალისწინებულია ღიობების მოწყობა და მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის შესახებ პოზიციის დაფიქსირება (სამომავლოდ იგეგმება თუ არა ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისება/პრივატიზება და შესაძლებელია თუ მისი საზოგადოებრივ სივრცედ განხილვა) გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.15.05.076.012) წარმოადგენს N4 საბავშვო ბაგა - ბაღის ეზოს, შესაბამისად იგი არ განიხილება საპრივატიზებო ობიექტათა ნუსხაში.

საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაიგზავნა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში, რომლის 15.12.2023 წლის N66-01233493482 წერილის საფუძველზე ტერიტორიის საზოგადოებრივ სივრცედ განხილვა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული (იხ. დანართი).

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი;

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
N(N)LP TBILISI'S KINDERGARTEN MANAGEMENT AGENCY

წერილის ნომერი: **66-01233493482**
თარიღი: **15/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
მისამართი: შარტავას ქ. 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილეს
ქალბატონ სოფიო დოღონაძეს

ქალბატონო სოფიო,

განვიხილეთ ამა წლის 27 ნოემბრის, თქვენი N 61-0123331774 წერილი, სადაც გვთხოვთ გაცნობოთ ჩვენი პოზიცია, შალვა დადიანის ქუჩა N15-ში მდებარე, N 4-ე საბავშვო ბაგა-ბაღის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.076.012) ეზოს საზოგადოებრივ სივრცედ განხილვის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო არ არის თანახმა აღნიშნული საბავშვო ბაგა-ბაღის ეზო განხილულ იქნეს საზოგადოებრივ სივრცედ.

პატივისცემით

კახა აბულაძე

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის
სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი